თვის, რომელიც მას გარს არტყია, მიუხედავად იმისა თვისიანია ეს, თუ სხვისიანი... შეცრება, გაუნათლებლობა, მტარვალობა ყოველი განათლებული კაცის მტერია, სადაც უნდა იყოს... მტერთან ომია საჭირო და ამ ომში მით უფრო ადვილად გავიმარჯვებთ, რაც უფრო ერთ-სულობით და მჭიდრო რაზმებად ვიმოქმედებთ... მტერთან გვერდს ამოდგომა იმისთვის, რომ ეს ჩვენიანია, პატიოსნების შეურაცხ-მყოფელი მოქმედებაა... მაგრამ რას ვამბობ? ნამდვილ-განათლებული კაცის „მისიანი“ ის არის, ვინც იმასავით სიბნელეს ებრძვის, ვის გულშიდაც იმნაირივე პატიოსნების ლამპარი ჰღვივის...

**გიქონიათ სულიც იქ, სადაც ტანით ვართ...**

ნუ შევყურებთ ერთს ერს საწველ ძროხათ, ან საკრეჭ ცხვრათ, მეორეს კი საპურებელ ბედაურათ... მახლობლის რძე-სისხლით მშობლის კუჭის გაბლინძვა, რაც უნდა მიზნითაც იყოს,—კაცის ღირსების შემაგინებელი და დამამცირებელია... ვინც ამ მცნებებს, აქ ერთობ გაკვრით და ბინდად გამოთქმულებს დროთა და გარემოებათ ვითარების გამო, ვინც ამ მცნებებს,—ვიმეორებ,—აღიარებს, ორთავე ხელებით ჩვენი მეგობარია... და ეს ძმობა-მეგობრობა ქართველთა და სომეხთ შორის არა ერთხელ უქადაგნია ქართულ პრესსას, არა იმისთვის, რომ ამაში მარტო ქართველების ინტერესი იყოს... არა, მერწმუნეთ, არა...

რაც შეეხება იმას, რო ჩემს სიტყვებს გულ-წრფელობა არ აკლია, ამაში, იმედი მაქვს, თვით ბ. არწრუნიც დამეთანხმება... *Pacem, sed non discordiam rolumus!..*

გრ. ე—ვს.

მოსკოვი, 23 ივლისს.

## დღიური

ჩვენ მივიღეთ ბ-ნი ზ. ჭიჭინაძისაგან შემდეგი შენიშვნა:

ქვათახევის მონასტრის სენაკებში მოიპოვება შემდეგი ძველი სურათები:

ა) თამარ დედოფალი, ქვრივის ტანთსაცმლით მორთული, როდესაც ის პირველის ქრმით დაქვრივდა. ტანთ აცვია შავი ტანთ-საცმელი, თავზე სამეფო სახური. ეს სურათი საქართველოს მეფეების დროს უნდა იყოს ნახატი. როგორც გავიგე, ეს სურათი საქართველოდგან გადაუტანიათ ბატონიშვილებსა რუსეთში. რუსეთიდგან კი აქ ტარასი არხიმანდრიტს ჩამოუტანია.

ბ) არის სურათი, როდესაც ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს. ერთ მხარეს დახატულია მეფე მირიანი და მაშინდელი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი პირები, რომელთაც ქართულად აცვიათ. მეორე მხარეს ხალხია მოგროვილი, მესამე მხარეს ტან-გახდილი ხალხია, განმზადებული მოსანათლად და იქავე, ამათ მახლობლივ დგანან ბერძნის სამღვდელო პირნი, რომელთაც ხელში ჯვარი უკავიათ და ნათლეენ ხალხს. ეს სურათიც წარმოადგენს იმ გვარსავე მხატვრობას, რომელიც ზემოდ მოვიხსენეთ.

გ) ანტონ მეორის სურათი დიდის ტანისა. რამდენიმე კიდევ სხვა სურათები, რომლებიც დახატულ არიან ქართულის ისტორიული დროთა შემთხვევიდგან.

* * *

ტფილისის ქალების გიმნაზიებში ეგზამენები დაიწყება 26 ამ თვიდამ; გიმნაზიების მმართველობა აცხადებს, რომ მიღების თხოვნები 23-მდინ იქმნეს წარდგენილი.

* * *

ტფილისის რეალურ სასწავლებელში ახალ შემსვლელთათვის 27, 28 და 31 მარიამობისთვეს არის დანიშნული მისაღები ეგზამენები. ამისათვის მხოლოდ 27-ს გამოცხადდება, თუ რამდენი ალაგი იქნება და რომელ კლასში მსურველთა მისაღებად.

* * *

ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ იქ ამ უკამასკნელ დღეებში ჩინებული გრილი დღეები დამდგარა. წვიმებიც გველირსა და, იქნება, მოსავალსაც ნახევრად მაინც ეშველოს რამეო.

* * *

რუსეთში დაარსდა ახალი „ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტო“, რომელმაც მოქმედება დაიწყო 1 ამ თვიდან. მიზანი სააგენტოსი ის არის, რომ თავის აგენტების საშუალებით რუსეთში და საზღვარ გარეთ შეკრიბოს პოლიტიკური, ეკონომიური, ჭქრობითი და საზოგადო ცხოვრებაში მიმდინარეობის შესახები ცნობანი.

* * *

ჩვენ მივიღეთ ახალ-ქალაქიდამ საჩივარი იქაურ მაზრის უფროს ბ. დ—ზე. ვისაც კი თვალ-ყური უდევნებია ამ ერთის წლის წინად ჩვენი გაზეთისათვის, უეჭველია ემახსოვრება სურათი ამ ბ. დ—ვისა, და თუ, ვინიცობაა, ვისმეს დაავიწყდა ჩვენ მოვაგონებთ. ეს ის დ—ვი გახლავსთ, რომელიც თელავიდამ . . . . გარდაიყვანეს თიანეთში. ეს ის დ—ვი გახლავსთ, რომელმაც ფშავ-ხევსურეთში, ამ ცის კიდე მივარდნილ ადგილებში, აღმოაჩინა მრთელი დასი სეპერატისტებისა და რომელიც ამისთანა ნიჭისათვის გარდმოიყვანეს ახალ-ქალაქის მაზრის უფროსად, სადგანაც არ გაივლის კვირა, რომ ახზედ საჩივარი არ მოგვივიდეს. ამ უკანასკნელ წერილში იმაზედ სხვათა შორის გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი:

„არ ვიცით ვის რა დუშავეთ ახალ-ქალაქელებმა; თითქმის ყველა მაზრებში რიგიანი უფროსები დანიშნული და ჩვენმა კი დაგვეტაკა. თუ ეს ბ. დ—ვი თელავში და თიანეთში არ გამოდგა ჩვენში რად ვარგებდა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ვისიც ჯერ არის მიაქცევს ამ ხალხის ღაღადებას ჯეროვანს ყურადღებას“.

* * *

კავკასიის ღვინოებმა მოსკოვის გამოფენაზე დაიმსახურა ჯეროვანი ყურადღება. ექსპერტებმა ერთ ხმით გარდაწყვიტეს ამათი უპირატესობა ევროპიულ ღვინოებთან.—მეტად მოსწონებიათ თ. ივანე კონსტანტინეს-ძის ბაგრატიონ-მუხრანსკის ღვინოები, რომლისათვისაც გარდაუწყვეტიათ მიეცეს სახელმწიფო ღერბი და სხვა კავკასიის ღვინოს-კი ოქროს მედალი.

ამაზედ, იმედი გვაქვს, მოკლე ხანში უფრო დაწვრილებით დაიწეროს ჩვენს გაზეთში.

* * *

ტფილისიდამ გაზ. „გოლოსში“ სწერენ, რომ აქ აზრად აქვსთ გახსნან მაჰმადიანთა ქალებისათვის საქალებო გიმნაზიაო. ამ გიმნაზიის კეთილ დღეობას უნდა მოველოდეთ იმ შემთხვევაშიო, ამბობს კორრესპონდენტი, თუ ეს ჩაბარდება იმისთანა პირს, რომელმაც იცოდეს ადგილობრივი ენა, ჩვეულება, მათი ცხოვრება და სარწმუნოებაო.

ამ ადგილისათვის წინადვე დანიშნული ჰყოლიათ ერთი ამ საქმეში გამოცდილი ქალი, რომელსაც ერევანში ჰქონია პანსიონი საკუთრად მაჰმადიანთა ქალებისათვისა, მაგრამ სამწუხაროდ მაჰმადიანებისა, ეს ადგილი თურმე ეძლევა სხვა ქალს, რომელიც, დიდი ხანი არ არის რაც, მოვიდა ჩვენს ქვეყანაში, და, რა თქმა უნდა, ენა და არც ჩვეულებანი ამ ხალხისა მან არ იცისო. ამ ნაირად ამ საქმის ხელის მოკიდება დიდად სამწუხარო არისო, რადგან ვიცით, რომ ბედი და უბედობა სასწავლებლისა არის მის წინამძღოლთა ხელშიო.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს ი. ქერესელიძეს რუსულიდგან გარმოუკეთებია ქართულად ბ-ნ სტატკოვსკისაგან შედგენილი წიგნი „იმფუზორიაზე“, რომელიც 1879 წ. სტატკოვსკის პარიჟის ობსერვატორიაში წარუდგენია და, სადაც ეს წიგნი სასარგებლო წიგნად უცვნიათ. ცალკე წიგნად გამოვაო.

* * *

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტფილისის ერთი გამოჩენილი ხელოსანი კარგად გამდიდრებული ბ-ნი ზეცერი თავის მუშებსა და შაგირდებს მეტის-მეტ შევიწროებას აყენებს და ხშირად სცემს, ჯამაგირებს უკავებს, და სხვ. საწყალ მუშებს ყურადღების მიმქცევი არავინა ჰყავთ...

* * *

გუშინწინ, 3-ს აგვისტოს ტფილისში უკვე ჩამოვიდა კავკავის ეპისკოპოსი იოსები, რომელიც დროებით საქართველოს ეგზარხოსის თანამდებობას ასრულებს.

* * *

წუხელის ქალაქში კარგა ლაზათიანი შხაპუნა წვიმა მოვიდა, ასე რომ დღეს ჩინებულად გრილა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

გურია, 20 ივლისი. მთავარ-მმართებელმა ოზურგეთში მრავალი თხოვნები მიიღო-მეთქი მოგახსენებდით „დროების“ 145 №-ში.

თავად-აზნაურობა და სხვა წარმომადგენელნი პირნი ჩვენი საზოგადოებისა და მოხელეობა სიამოვნებით შეჰყურებდნენ მისი ბრწყინვალებაას, როცა მიიღო მათგან საყურადღებო თხოვნა და თავად-აზნაურობის მინდობილობით წარუდგნენ მას ჩვენს საჭიროებებზედ მოსალაპარაკებლად თ.თ. ლ. გურიელი გ. გუგუნავა და გ. გებურიშვილი; ყველას სახეზედ სიამოვნების ღიმილი ეტყობოდა: ჰფიქრობდნენ:—თუ რამე ეშველა ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას ახლაო, თუ არა და მადლობა ღმერთს... თავად-აზნაურობის თხოვნა იყო შემდეგი:

**მისს ბრწყინვალებას**

**ბატონს კავკასიის მთავარ-მმართებელს, ღენერ.-ადიუტანტს თავადს ალექსანდრე მიხეილის-ძეს დონდუკოვ-კორსაკოვს,**

ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის კეთილ-შობილთა

უმორჩილესი სათხოვარი.

კარგად მოეხსენება თქვენს ბრწყინვალებას, რომ სხვა ხალხთა შორის, რომელნიც მოსახლობენ თქვენდამი მონდობილს მხარეში, გურულებს სჭერიათ არა უკანასკნელი ალაგი თავის განუსაზღვრელის სიყვარულით და გულ-წრფელის თანაგრძნობით ყოველივე საჭიროებებში ჩვენი საზოგადო მამულის რუსეთისადმი, და უყვედრელად აღუსრულებიათ ყოველივე დადგინებანი კანონით აღნიშნულის მმართველობისა. არც ერთი ომი, არც ერთი მოძრაობა დასავლეთ-კავკასიაში არა ყოფილა, რომელშიაც ჩვენ მონაწილეობა არ მიგვეღოს, და მაშინ სიცოცხლე და კეთილ-დღეობა ყოველს ჩვენგანს შეუწირავს მამულის საჭიროებისათვის; ვამაყობთ რა ამ ღირსებებითა, ჩვენ გულის სიღრმიდის ვგრძნობთ იმ წყალობათაც, რომელნიც წარმოგვივლინა უზენაესმა მთავრობამ სხვათა ქვეშევრდომთა შორის სახელმწიფოისა, ამასთანავე არ შეგვიძლიან დავფაროთ წინაშე თქვენის ბრწყინვალებისა, როგორც წინაშე ჩვენის ქვეყნის კეთილის-მყოფელისა, ის ზნეობითი და მატერიალური ტანჯვანი, რომელიც გამოგვივლია ამ უკანასკნელ სამი წლის განმავალობაში და რომელნიც ეხლაც გვაწუხებენ. საქმე იმაშია, რომ, ომის შემდეგ, უიმისოთაც დაცემული, ჩვენი მაზრა სრულიად დაემხო, რადგანაც მისი კეთილ-დღეობა მოკლებული იყო ყოველ გვარ მართველობით თვალ-ყურს. ხალხი მინდობილი თავის ნებაზედ, ანუ უკეთა ვსთქვათ, მინებებული ანგარების მოყვარე პირების ხელში, რომელნიც

